სამშაბათი, 1918 წ. თიბათვის 11 № 114
სამშაბათი, 1918 წ. თიბათვის 11 № 114

წელიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უმისოდ გამოგზავნილი მასალა უგზოდ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

პირველ გვერდიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ხაზი თვით, და ღირებულება—18 მ. თვეში (მთლიანი ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქგარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. почт. ящикъ № 76. ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—73

## ცნობები:

მთელი ახალქალაქის მაზრა აყრილა და აწიოკებული ბაკურიანისა და წალკისკენ მოედინება.—მაყვანეთში და ლიხაურში ოსმალთა ჯარებს წინწასვლისას ყოვლისფერი გაუზიდნიათ.—მთავრობამ ნება მისცა ადერბეიჯანის მთავრობას ელჩის დანიშვნის შესახებ.—თბილისში გერმანელ ჯარების 2 ბატალიონი ჩამოვიდა.

თავზარდაცემული მეუღლე ოლღა, შვილები სონა და მიშა, ძალი დარიკო ხერხეულიძენი და სიძე ილიკო დავითიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელის

**ზურაბ (საშა) დიმიტრის ძის**

**ხერხეულიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე (ნაძალადევი, პარკოვსკი ქ., 27), გამოსვენება ხუთშაბათს დილის 10 საათზე, დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

3—1

ღრმად დამწუხრებულნი: სიდედრი მარიამი, ძმა ვასილი ოჯახობით, და, ლიზა, ცოლის ძმა კოტე კვალიშვილი და ცოლის და ანნა ელიოზიშვილისა ოჯახეობითურთ და კირილე მგალობლიშვილი მეუღლით გულმოკლულნი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს ძვირფასი

**ზურაბ (საშა) დიმიტრის ძის**

**ხერხეულიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე. გამოსვენება ხუთშაბათს.

(3—1)

## წითელი სამინისტრო

შაბათს, 8 ივნისს, სასახლის თეთრ დარბაზში ირაკლი წერეთელმა სამარეს მიაბარა რევოლუციონური რუსეთის უკანასკნელი ნაშთი—ინტერნაციონალური სალდათთა და მუშათა საბჭოები და მათი საადმინისტრაციო და სამხედრო შტაბები.

ეს ძველი რევოლუციონური ორგანიზაციები, რომლის შემადგენლობის ერთს ნახევარს რუსეთის და ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკების ქვეშევრდომები შეადგენდნენ, 8 ივნისამდე შემოსილი იყვნენ სრული სახელმწიფოებრივი უფლებებით საქართველოს ტერიტორიაზე. ერთსა და იმავე სასახლეში მოთავსებული იყო ორი საკანონმდებლო ორგანო—საქართველოს ეროვნული საბჭო და კრაევოი ცენტრი მათი სამინისტროთი და აღმასრულებელი კომიტეტით. ორთავეს ჰქონდა მოწყობილი თავისი ადმინისტრაციული აპარატი და სამხედრო ძალა—ჯარი და წითელი გვარდია. ეს ორი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია აკეთებდა ერთსა და იმავე საქმეს, მოქმედებდა ერთსა და იმავე ტერიტორიაზე. თუმცა მათი შემადგენლობა რევოლუციონურად თითქმის ერთფეროვანი იყო, მაგრამ სხვადასხვა იყო მათი სახე ეროვნულად და ამით აიხსნება, რომ ხშირად ირღვეოდა თანხმობა მათ შორის, ერთი რომ ბოლშევიკურ რუსეთიდან თავის დახსნას მოინდომებდა და ევროპასთან დაახლოვებას, მეორე რუსეთისაკენ მიიწევდა. ერთს რომ ხავი სწყუროდა, მეორე ჯომისთვის მოგვიხმობდა. ერთი რომ მორცხვად დაპირებდა სახელმწიფოებრივ გზაზე დადგომას, მეორე ბოლშევიკურ კონტრიბუციებს აწერდა ხალხს.

თავის გამოსათხოვარ სიტყვაში ირაკლი წერეთელმა მშვენივრად დაახასიათა ამ ორგანიზაციების ბუნება და დანიშნულება. თითქოს ეხლა გამოირკვეულიყოს მთლიად, რომ ეს რევოლუციონური ორგანიზაციები აერთებდა დემოკრატიის მცირე ნაწილს—უმთავრესად ქალაქის მუშებს და ისინი კი კისრულობდენ მთელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდაქმნას, რომლის ძალა მათ არ შესწევდათ. სანამ რევოლუციონური ნგრევა სწარმოებდა, რევოლიუციონური დემოკრატია და მისი ორგანოები თავის ადგილზე იყვნენ. მაგრამ როდესაც ჯერი ახალი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შექმნაზე მიდგა, გამოირკვა, რომ ამ კლასს სრულიად არ შესწევს იმის ძალა, რომ მას ამისთვის საჭირო ცოდნა, გამოცდილება და პოლიტიკური კულტურა არ მოეპოვება.

ევროპის ქვეყნების პოლიტიკური განვითარება და პოლიტიკური რევოლუციები ნათლად გვასწავლიდენ თუ რა არის საჭირო თანამედროვე სახელმწიფოს შესაქმნელად. არ არის საკმარისი ფიზიკური ძალა. ასეთი ძალით, რასაკვირველია, ყოველივეს დანგრევა და დარღვევა შეიძლება. მაგრამ მარტო ფიზიკური ძალით არ მოხერხდება არამც თუ სახელმწიფოებრივი შენობის აგება, არამედ უბრალო ქოხის აშენებაც კი.

რუსეთის რევოლუციონურმა დემოკრატიამ იკისრა იმის გაკეთება, რაც მთელი დემოკრატიის, მესამე წოდების დანიშნულებას შეადგენდა. ევროპის ყველა სახელმწიფოების პოლიტიკური გარდაქმნა და დემოკრატიული წყობილების დამყარება ამ მესამე წოდების საქმე იყო. ყველა დემოკრატიული წრეები—მოქალაქენი, ვაჭარ-მრეწველნი, გლეხობა და ქალაქის მუშები, თუ საქმიანი ინტელიგენცია,—საერთო ძალით ანგრევდენ ძველ პრივილეგიებსა და წოდებრივ უპირატესობებზე აგებულს სახელმწიფოს და საერთო ძალითვე აშენებდენ ახალს სახელმწიფოს თავისუფლებისა და თანასწორობის საფუძველზე.

რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელთ თვალწინ ჰქონდათ ევროპის რევოლუციების მაგალითები. იქაც იყო შემთხვევები, როდესაც მუშათა კლასი საკუთარი ძალებით სცდილობდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების გარდაქმნას. ასე იყო 1848 წლის საფრანგეთის რევოლუციისა და პარიზის კომმუნის დროს. რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელებმა მოისურვეს ამ შეცდომების განმეორება და ამით აიხსნება, რომ ამ რევოლუციის იდეოლოგისა და ხელმძღვანელის ირაკლი წერეთლის შემოქმედება ეს მეორე წელიწადია მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ ის მზრუნველი ხელით ასაფლავებს ყოველივე იმას, რაც კი წარმოშვა რევოლუციონური დემოკრატიის წარმოებულმა რევოლუციამ.

8 ივნისის კრების შემდგომ რევოლუციონური ორგანიზაციები თავიდან იცილებენ იმ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს, რომლითაც ისინი აღიჭურვენ რევოლუციის დროს. მუშათა საბჭო დარჩება, როგორც მუშათა კლასიური ორგანიზაცია. ზოგნი ჰფიქრობენ, რომ ამით მოხდა რუსეთის რევოლუციის ყველა უარყოფითი შედეგების ლიკვიდაცია და ჩვენს სამშობლოში ამის შემდგომ დაიწყება ნამდვილი და მწყობრი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა. სამწუხაროდ, ასეთი იმედები ჯერ კიდევ ნაადრევია და, შესაძლოა, ირაკლი წერეთელს ერთხელ თუ ორჯერ კიდევ მოუხდეს გამოსათხოვარი სიტყვის წარმოთქმა. ამის შემდგომ კი მას უნდა წაერთვას საზეიმო მესაფლავის ბარი, ვინაიდან რუსეთის რევოლუციონურ ნანგრევებს იქით დაიწყება ნამდვილი საქართველო.

მუშათა და სალდათთა საბჭოს ლიკვიდაციის შემდგომ ჯერი საქართველოს წითელ საბჭოსა და წითელს მთავრობაზე უნდა მიდგეს. საჭიროა მათი საფუძვლიანი რეორგანიზაცია და განთავისუფლება რუსეთის რევოლუციის მძიმე მემკვიდრეობისაგან. დღევანდელი საქართველოს საბჭო თავის შემადგენლობის უდიდესი ნაწილით იგივე კრაევოი ცენტრია, იმავე რევოლუციონური იდეოლოგიით შეპყრობილი. ასეთი საბჭო ვერ გაჭკაფავს საქართველოს სახელმწიფოებრივობის გზებს. დღეს თუ მასში ას ოც წევრში ასი მგრეველია და ოციოდე მშვენებლად გამოსადეგი, საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის წესიერად დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მგრეველთა რიცხვი ერთი ათად შემცირდება და ამგვნოვე გაიზრდება ისეთი ელემენტების რიცხვი, რომელნიც დემოკრატიული სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმშენებლობისათვის გამოსადეგი არიან.

საქართველოს ეროვნული საბჭო არ უნდა იყოს მხოლოდ სახელით ეროვნული. მასში უნდა წარმოდგენილი იყოს ეროვნული ცხოვრების ყველა მთავარი ძალები. ის უნდა გამოჰხატავდეს ამ ჟამად არსებულს ეროვნულს ძალთა განწყობილებას და არა შარშანდელს, როდესაც მთელი ქართველი ერი რევოლიუციონური ფსიხოზით იყო შეპყრობილი.

საქართველოს წითელი პოლიტიკა მორიგი სალიკვიდაციო საქმეა. თითო ოროლა პერსონალური ცვლილება მიზანს ვერ მიაღწევს. ერთი ნოეს მაგივრად მეორე ნოეს დანიშვნა ვერ აღმოფხვრის მის ანტისახელმწიფოებრივ ზნეს და თვისებებს და არამც თუ გიორგი ქურული, არამედ თვით ზელზებულიც რომ მიიწვიონ ამ სამინისტროში, მით ის არ დაჰკარგავს წითელს ერთფეროვნობას.

8 ივნისს ჩვენი რევოლუციონური დემოკრატიის ხელმძღვანელებმა საქართველოს სახელმწიფოებრიობისაკენ მტკიცე ნაბიჯი გადადგეს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მათ აუცილებლობა წინასწარ განსჭვრიტეს და შესაფერისი ნაბიჯის გადადგმა თავის სურვილით, ცხოვრების ძალდატანებამდე იკისრეს. სასწრაფოა შემდეგომი ნაბიჯებიც. მხოლოდ უკიდურესი რევოლიუციონური პოლიტიკის ლიკვიდაციის შემდგომ შესაძლებელი იქნება საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმშენებლობა ხალხის უფლებისა და პიროვნების თავისუფლების საფუძველზე.

ა. ახათიანი.

## კიდევ ორ-მთავრობიანობაზე

ერთი ცუდი ზნე სჭირს გაზეთს „ერთობას“: მოწინააღმდეგის აზრს ბოლომდე არ წაიკითხავს, შუაზე გასწყვეტს, აზრის ნაწყვეტს თავისებურს „კუდს“ გამოაბამს და შემდეგ თვითვე მოჰყვება მოთქმას და გოდებას: დახეთ, რა სთქვეს, რა დასწერესო!

ასე მოექცა იგი ჩვენს უკანასკნელს წერილსაც, სადაც ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ორ-მთავრობიანობა დაღუპავს ჩვენს ქვეყანას ისევე, როგორც დაღუპა და გაანადგურა რუსეთი.

„ერთობას“ არ მოეწონა ეს „კამპანია თბილისის მუშების წინააღმდეგ, რომელნიც ერთად-ერთს საიმედო და რეალურს ძალას წარმოადგენენ საქართველოს ნორჩი რესპუბლიკისათვის“..

კარგი ნათქვამია, მაგრამ არც ის იქნება ურიგოდ თქმული, რომ თბილისის მუშების საქართველოს რესპუბლიკის ერთად-ერთ ღირსად და საძირკვლად მონათვლაც არ არის მაინც და-მაინც სრული ჭეშმარიტება.

ჩვენა გვგონია, რომ არა თუ მარტო თბილისის მუშები, მთელის საქართველოს მუშებიც ვერ იხსნიან განსაცდელისაგან სამშობლოს, თუ ისინი გამარტოვებულად იმოქმედებენ და ერის სხვა შემადგენელ ელემენტებს არ შეეღულებიან, მათთან არ შეკავშირდებიან. ერთის რომელისამე კლასის ან წოდების მხარზე, რაც გინდ ძალოვანი იყოს იგი, არ აშენდება ქვეყნის კეთილდღეობა. განსაკუთრებით დღევანდელს საბედისწერო ჟამს არის საჭირო ერის ყველა ნაწილების შეთანხმება, ძმური გაწევა ჭაპნისა.

ამიტომ ჩვენ არასოდეს არა ვყოფილვართ და ვერც ვიქნებით მუშათა კლასის წინააღმდეგნი, მისი უარისმყოფელნი.

ჩვენ მხოლოდ იმისი წინააღმდეგნი ვიყავით, ვართ და ვიქნებით, რომ ამ კლასს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ, მას განაცვალოთ ქვეყნის ინტერესები, მარტო მას ვენდოთ და სხვანი ყველანი განურჩევლად და განუკითხავად მავნე ელემენტებად ჩავთვალოთ, არა კეთილ საიმედოდ გამოვაცხადოთ.

ჩვენ იმდენად ვეწინააღმდეგებოდით და ვეწინააღმდეგებით მუშათა კლასის მისწრაფებებს, რამდენადაც მათში გამოიხატება სურვილი სხვებზე გაბატონებისა, ისეთის ადგილის და როლის დაჩემებისა ეროვნულ-სახელმწიფოებრივს ცხოვრებაში, რომელიც მათ არ ეკუთვნის, არ უნდა ეკუთვნოდეს.

ჩვენ შეუწყნარებლად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია ისეთი წყობილება, როცა ქვეყნის კანონიერს მთავრობას ამავ ქვეყნის ტერიტორიაზე მეტოქეობას უწევს მეორე ძალა და მით უმეტეს როცა ეს უკანასკნელი ლამობს კანონიერი მთავრობა მეორე ადგილას დააყენოს, მარტო თავისის სურვილების მსახურად და აღმასრულებლად აქციოს.

ერთობ გაუგებარი და მოუხერხებელია, რომ რომელისამე კლასის წარმომადგენლობას უფლება ჰქონდეს სახელმწიფო მმართველობის ფუნქციები იკისროს, სახელმწიფო გადასახადი გადაახდევინოს მოქალაქეთ, სამართალში მისცეს, კანონიც-კი გამოსცეს ან კიდევ უცხო ქვეყნის ქვეშევრდომთაგან შემდგარ პარტიას უბოძოს ფირმანი იარაღის ტარების უფლების მიცემისა.

ნამეტნავად ახლად ჩასახულ საქართველოს რესპუბლიკისთვის მომაკვდინებელია ხსენებულ ფუნქციების ისეთის დაწესებულების ხელში თავმოყრა, სადაც მრავლად შედიან ისეთი ელემენტები, რომელთა კეთილი განწყობილება ქართველობისადმი ფრიად და ფრიად საეჭვოა.

განსაკუთრებით უადგილოდ უნდა იქმნას მიჩნეული თვით სოციალისტების თვალისაზრისითაც ასეთ დაწესებულებათა არსებობა დღევანდელს უდემოკრატიულესს და უსოციალისტურესს საქართველოში, სადაც, ღვთის წყალობით, სოციალისტები საკმარისად არიან წარმოდგენილნი პარლამენტშიაც, ოფიციალ მთავრობაშიაც, სადაც მათ შეუძლიათ არა მარტო ქვეყნის ბედზე ლაპარაკი, არამედ ხელთ უპყრიათ სრული მონოპოლია მოქმედებისა, ყოველ გვარი საშუალება ამ ბედის გამოსაჭედად.

აი რა გვალაპარაკებს და არა ის, რაც მოსჩვენებია ავადმყოფ ფანტაზიით შეპყრობილ „ერთობის“ მეპრესეს, ვინც აჯერებს თავის გულუბრყვილო მკითხველს, რომ როცა ეროვნულ-დემოკრატებს თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს ჩამოთვლილი ნაბიჯები, მათ, ნაციონალ-დემოკრატებს, სურთ „ოსმალეთის წინაშე ქედის მოხრა, რომ ამით რევოლიუციას ბოლო მოუღონ და თავის (?) შემამულეთა დარღვეული ინტერესები კვლავ აღადგინონ“.

არა, ბატონებო!

ჩვენ ქვეყანაზე ვზრუნავთ, ქვეყნის საერთო ინტერესი გველაპარაკება.

მოვალედა ვილით ჩვენს თავს ხმა ამოვიღოთ, როცა ვხედავთ, რომ ეს ინტერესი ითრგუნება, ცალმხრივად ეწირება ერთის კლასის სურვილებს.

თქვენა გგონიათ, რომ ჩვენ გვაწუხებს თბილისის ვაჭრების ოცდა ათი მილიონით დაბეგვრა.

არა, არა და არა!

არა თუ ოცდაათ მილიონით, უფრო მეტითაც დაიბეგროს ვაჭრობა — და არა მარტო ვაჭრობა,— თუ ამას ერის ინტერესი და საჭიროება მოითხოვს, მაგრამ დეე ეს დაბეგვრა გამოაცხადოს და დააკანონოს ერის და სახელმწიფოს კანონიერმა მთავრობამ და არა ერთის კლასის წარმომადგენლობამ, მოახმაროს დასტური ეროვნულ საჭიროებათ.

დარწმუნებით, ამ შემთხვევაში არის ვიტყვით, კიდევაც ხელს შეუწყობთ ქვეყნის მეთაურთ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ჩვენ თანამოაზრეთაგან არ შესდგება, რომ ჩვენ და მათ შორის დიდი იდეოლოგიური განსხვავება და წინააღმდეგობა სუფევს.

ასეთია ძირითადი მოთხოვნილება სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა, დედააზრი სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა, რომელსაც ჩვენ მუდამ ვაწარმოებდით და ვაწარმოებთ და რომლის არ დანახვა ან გადამახინჯება მაინც-და-მაინც დიდ წარჩინებად არ ჩაეთვლება პოლიტიკურ მოღვაწეს და ორგანოს.

შეუპოვარი.

## სომხური პრესა

სომხების დამოუკიდებელ რესპუბლიკის შესახებ სომეხ-თურქ-ქართველთა ურთიერთობაზე „მშაკი" (№ 107) მიესალმება სომხეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარებას ოსმალეთის მიერ და სხვათა შორის სწერს:

„ჩვენ უკვე მომხდარ ფაქტის წინაშე ვდგევართ. მიუხედავად იმისა რომ მეტად მძიმეა შეკრული ზავის პირობები, მეტად შეკვეცილია და აკუწულ-დაკუწული ჰაიასტანი (სომხეთი), ჩვენ უნდა სისწორით და ბოლომდი შევასრულოთ ნაკისრი მოვალეობანი და ჩვენთვის დათმობილი ვიწრო საზღვრებში ვეცადოთ, ვიმოქმედოთ უშედური და მრავალტანჯული ხალხის სასარგებლოდ და შემოქმედებითი მუშაობის საშუალებით შევუდგეთ იმის თავის მოყრას.

ამიტომ თუმცა ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ მოკვდა დიდი ჰაიასტანი (სომხეთი), ჩვენი ოცნება და საოცნება ჰაიასტანი, ჩვენ მაინც უნდა შევსძახოთ:

„მოკვდა ძველი, დიდი ჰაიასტანი!

გაუმარჯოს ახალს, ნორჩ ჰაიასტანს!

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს რომ ამისათვის საჭიროა რომ გაქცეული სომხები დაუბრუნდნენ თავიანთ კერას და გარდა ამისა რომ სომხეთის მთავრობაში დაშნაკცაკანის პარტიული ინტერესების ნაცვლად სომხური ეროვნული ინტერესები ბატონობდეს.

„ჰორიზონი" (№ 116) აღნიშნავს რომ ზავი შეკრულია და მაშასადამე, სომხის ერს დღეს უკვე მტერი აღარა ჰყავს და ძირეულად უნდა შეიცვალოს მისი აზრი და დამოკიდებულება თავის მეზობლებისადმი.

სომეხთა და თურქთა მასსები ამიერ-კავკასიაში მრავალ წელთა განმავლობაში ერთმანეთის გვერდით მეგობრულად სცხოვრობდენ".

სომეხ-თურქების შეტაკებანი წარსულში ცარიზმის საგანგებო გაიძვერული პოლიტიკის ბრალი იყო.

დღეს, როცა ზავი შეკრულია, ბოლო უნდა მოეღოს ყოველივე გაუგებრობას და უთანხმოებას ჩვენს შორის. სომხის და თურქის მშრომელ ხალხს სამტრო არაფერი აქვსთ ერთმანეთში.

ამიერ-კავკასიის პოლიტიკის და ომის დამარცხება უმთავრესად იმის ბრალია რომ აქ არ შეიქმნა ყველა ერების ერთობა და მათ დემოკრატიულ ელემენტების სოლიდარობა და შედუღება და დღეს როცა ზავი ჩამოვარდა, როცა შეიქმნა თანხმობით ცხოვრებისათვის ნორმალური პირობები, დღეს სომეხ-თურქ-ქართველთა დემოკრატიებმა ძმურად ერთმანეთს ხელი უნდა გაუწოდონ და თანხმობით იმუშავონ ამიერ-კავკასიის დემოკრატიის შინაური ფრონტის მთლიანობის აღდგენისა და გამაგრებისათვის."

## ომი

### დასავლეთის ფრონტზე.

**გერმანეთის ცნობა**

**ბერლინი**, თიბათვის 8. ოფიციალური. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ხამუშ-ხამუშ საარტილერიო ბრძოლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**გერმანულ კრონპრინცის ლაშქარი.** მატიერის ჩრდილო-დასავლეთით მტერს იერიშები მოაქვს. არდერთან კონტრიერიშებით დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ცდილობდა. ფრანგებს, ამერიკელებს და ინგლისელებს მრავალი იერიშები მოაქვთ, მაგრამ ვიგერიებთ დიდი ზარალის მიყენებით.

მთავარი გენერალ-კვარტირმეისტერი ლიუდენდორფი.

**ინგლისის ცნობა**

ინგლისური ცნობის ნაწყვეტი ბულგარეთ-გერმანეთის ფრონტის შესახებ. თიბათვის 7. სიენის სიმაღლის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები 2 კილომეტრით შეიჭრნენ მტრის თხრილებში. ტყვედ იგდეს 1700 ბულგარელი და გერმანელი, მათ შორის 33 ოფიცერი და აგრეთვე დიდძალი სამხედრო მასალა და სურსათი.

**ბრძოლა ზღვაზე**

ტრანსოკეანის „პრესბიურო" ოფიციალად იუწყება: გერმანელთა წყალქვეშამ კაპიტან ვერნერის ხელმძღვანელობით ინგლისის არხის დასავლეთ ნაპირებთან დაჰლუპა მტრის ხუთი გემი, საზოგადოდ 29 ათასი ტონა წყალ-წყვისა. დაღუპულ გემთა შორის მოჰყვა ინგლისელთა შეიარაღებული ტრანსპორტი „დენბერგსჰოლი" 4,943 ტონა წყალწყვისა, წყალქვეშამ მარჯვედ ერთოლა ზარბაზნიდან, მიუხედავად იმისა, რომ მას თან ახლდა მთელი რაზმი მოდარაჯე გემებისა. შემდეგ დაჰლუპა ფრანგთა შეიარაღებული გემი „მატროსინ" 4,047 ტონა წყალწყვისა. ამ გემის კაპიტანი დატყვევებულია. უდიდესი ტრანსპორტი, 7,500 ტონიანი, ფრიად იყო შეიარაღებული და თანაც მძიმედ დატვირთული. ამასთანავე მას თან ახლდა ძლიერი ესკადრა. პირველ სროლისთანავე გემები აირივნენ, ერთმანეთს დაეჯახნენ, რის გამოც კიდევ ერთი გემი დაეღუპათ 6 ათასიანი ტონა წყალწყვისა.

## გერმანეთი და საქართველო

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ბერლინიდან 4 ივნისის თარიღით 7 ივნისს გენ. ფონ ლოსსოვისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გერმანეთის მთავარსარდლობა და მთავრობა ეთანხმება ყველა თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯ ბისა. სადგურებზე და ნავთსადგურებში ოსმალების მოახლოვებისას სადარაჯის თავის ადგილზე უნდა დარჩნენ, მტრულად არ უნდა მოექცნენ მათ და უნდა განუცხადონ ოსმალებს, რომ ისინი გერმანეთის მთავარსარდლობის ბრძანებით არიან დაყენებულნი საქართველოს რკინის გზების დასაცავად ოთხთა კავშირის სახელმწიფოთა საერთო ინტერესების თანახმად.

## ავსტრო-უნგრელ ჯარისკაცების გაგზავნა სამშობლოში

რადგანაც ყველა ავსტრია-უნგრელ ჯარის კაცებს ჰგზავნიან სამშობლოში, ამიტომ ესენი მოვალენი არიან ოთხშაბათს 10 ივნისს, დღის სამ საათზე, გამოცხადდნენ სამხედრო სასწავლებლის ეზოში მიხეილის პროსპექტზე, საიდანაც მათ გაჰგზავნიან რკინის გზის სადგურზე.

მაგრამ გამოცხადება შეუძლიანთ მხოლოდ იმ პირთ, ვისაც უფროსთაგან ექნებათ ხელწერილები. ვისაც განსაკუთრებული ნებართვა არ ექნება რომ აქ დარჩეს, მას დეზერტირად ჩათვლიან. ის ჯარის კაცები, რომელნიც მსახურებენ, უნდა გამოეთხოვნენ პატრონებს სრულის წლით და მადლობით განშორდნენ მათ.

ერთსა და იმავე დროს ვუბრძანებ ყველა სამხედრო ტყვეებს ავსტრო-უნგრეთისას 18—45 წ. გამოცხადდნენ გერმანეთის ელჩის შენობაში) პასკევიჩის ქუჩა, № 14) ყოველ დღე ათიდან 12 საათამდე, რათა პირველ შემთხვევისათანავე გაგზავნილ იქმნენ სამშობლოში. იმ პირთ, ვისაც სურვილით თავ თავიანთი საქმის ლიკვიდაცია, შემდეგი ტრანსპორტით გაიგზავნებიან.

ობერლეიტენანტი დოქ. იანკო.

თბილისი, 7 ივნისი,

1918 წ.

## მთავრობის წრეებში

მთავრობის სხდომაზე ივნისის 7-ს, ფინანსთა მინისტრის მოხსენების თანახმად საქართველოს სახელმწიფო ქაღალდის ფულის შემუშავების შესახებ, დაადგინეს: ფულის შემუშავება საქართველოს ცნობილ ისტორიკოსებს მიენდოს, აგრეთვე გადაწყვეტილია საქართველოს საკრედიტო ბილეთებისათვის შედგენილ იქმნას სურათი, ამისათვის დანიშნულია კონკურსი 1000 მან. პრემიით, პირველად, 10 თუმნიან ბილეთის სურათი უნდა შედგენილ იქმნას. მხატვარი, რომელიც შეადგენს 10 თუმნიანის სურათს იმას შეუკვეთავენ დანარჩენსაც. წარწერა ბილეთებზე მთავრობის მიერ იქნება შემუშავებული და გამოცხადებული იქნება კონკურსი. დადგენილია ერ. ბანკის დაარსებამდე სახელმწიფო ბანკთან დაარსდეს ქართული განყოფილება. ფინანსთა მინისტრის მოხსენების თანახმად, ქიათურაში შავი ქვის მრეწველობის გაფართოვების შესახებ დადგენილია ამ საქმისთვის გადაიდოს სესხი 500 ათასი მანეთი. ფინანსთა მინისტრს დაევალა შეიმუშაოს კანონ-პროექტი, რომლის ძალით შავ ქვას საზღვარ გარედ ვერ გაიტანენ.

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს დაევალა შეადგინოს საგანგებო კომისია, რომლის ნებადაურთველად ყოველივე საქონლის—გაყიდვა და ყიდვა აღკრძალულია.

—

სახალხო განათლების სამინისტროში. საშუალო სასწავლებლების გაერთიანება იქნება საჭირო. სომხური და რუსული სასწავლებლები დარჩება, საღაც ყველაფერს სომხურ და რუსულ ენაზე ასწავლიან. ეს გიმნაზიები მთავრობის ხარჯით შეინახება.

—

მთავრობის სხდომაზე 8 ივნისს ბაქოს ქართველ მცხოვრებთა დელეგატის მოხსენებით (ბაქოში 10000-მდე ქართველი ყოფილა) მთავრობამ დაადგინა შეუთანხმდეს უკრაინელთა საბჭოს, რომ ბაქოში მან დაიცვას ქართველთა ინტერესები. ეთხოვოს გერმანეთის წარმომადგენელ გრაფ შულენბურგს გადასცეს რუსეთში გრაფ მირბახს საქართველოს მთავრობის თხოვნა რუსეთში მყოფ ქართველთა ინტერესების დაცვის შესახებ.

—

სალიკვიდაციო კომისიას წინადადება მიეცა მუშაობის გათავება დაჩქაროს და ნება მიეცეს მას იქონიოს საკუთარი კანცელარია.

—

აზერბეიჯანის რესპუბლიკის შუამდგომლობით დადგენილ იქმნა გადაიდოს მისთვის 7 მილიონი მან.

—

აზერბეიჯანისთვის საჭირო ვაგონების რაოდენობის გამოსაანგარიშებლად შესდგა შეთანხმებული კომისია, ამასთანავე აზერბეიჯანის რესპუბლიკას წინადადება მიეცა ამ კომისიაში საჩქაროდ დანიშნოს თავისი წარმომადგენლები.

—

აზერბეიჯანის რესპუბლიკას ნება მისცეს არა ჩვეულებრივ შემთხვევებში ისარგებლოს თბილისის რადიო სადგურით.

—

ფუნიკულიორზე რადიო სადგურის მოწყობის შესახებ მთავრობამ სამხედრო მინისტრს წინადადება მისცა გამოარკვიოს არის თუ არა ადვილი მისავალები ფუნიკულიორთან.

—

დაადგინეს გაუქმებულ იქმნას თავდაცვის უმაღლესი საბჭო და ამის შესახებ შესაფერი ბრძანება გამოიცეს.

—

სამხედრო მინისტრს დაევალა ერთ-ერთ ბრძანებაში მადლობა გამოუცხადოს იმ ჯარს, რომელიც გენ. შიხლინსკის რაზმში ბაქოს წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა.

—

ფინანსთა მინისტრის მოხსენებით ქიათურის ქვანახშირის მრეწველობის გაფართოვების შესახებ დაადგინეს ამ მიზნის განსახორციელებლად გადადებულ იქნას 500.000 მან.

—

**სამიწადმოქმედო სამინისტრომ** განმარტა, რომ მიწის კონფისკაციის კანონი არ შეეხება იმ მიწებს, რომელიც ჩამორთმეულ იქმნენ სახელმწიფო, საზოგადო ან რკინის გზის საჭიროებათათვის. სადგილ-მამულო კომისიებს არა აქვთ ნება რკინის გზებს ჩამოართვან მიწები. რკინის გზებს ნება აქვთ თავის მიწები სასარგებლოთ მისცენ თავის მოსამსახურეებს, თანახმად რკინის გზის წესებისა.

—

**აფხაზეთის გამოყოფა.** თბილისში ჩამოვიდა აფხაზების დელეგაცია ინჟინერ კაკუბავას თაოსნობით. მთავრობის სხდომაზედ 6 ივნისს დელეგაციამ განაცხადა, რომ აფხაზეთს სურს თავის ტერიტორიაზედ ჰქონდეს სუვერენული უფლებები და ჰყავდეს თავის საკუთარი მთავრობა.

## დეპეშა გაგურიანიდან

მთელი ახალქალაქის მაზრა ბაკურიანისკენ და წაღკის ცივ მაღლობებისაკენ მოეშურებიან. ყველა წვიმის და ავდრის ანაბარა დარჩა ცის ქვეშ და სიცივისა და შიმშილისაგან, ბუზებსავით იხოცებიან. გემუდარებით, სასწრაფოდ მოგვეშველენით, ყოველ მხრივი დახმარება აღმოგვიჩინეთ, თორემ ყველაფერი დაიღუპება.

ცუცაშვილი, დიდებანი, მღვდელი ბერიძენი.

## ქრონიკა

### თბილისი.

**დღეს, შუადღის 1 საათზე,** თეთრ დარბაზში შესდგება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. სხდომის საგანია კომისიების არჩევა.

**ერ. დემ. ფრაქციის** კრება შესდგება საბჭოს კრების წინ 11 საათზე.

**გერმანელები თბილისში.** კარგი ძალი გერმანელი ოფიცრობა ჩამოვიდა თბილისში ფოთიდან. გერმანელ ჯარების ერთი ნაწილი უკვე აქ არის. ფოთიდან აგრეთვე ჩამოდის სამხედრო შემადგენლობის ერთი ბატალიონი, რომელიც უკვე სავსებით მზად არის მოქმედებისათვის. ამ ბატალიონში შედიან ნადმების მსროლელთა რაზმი, საერიშო რაზმი და მფრინავთა რაზმი. ეს რაზმი უკვე ჩამოვიდა გუშინ. კიდევ მოელიან ფოთში სევასტოპოლიდან ჯარების დიდ ტრანსპორტს საჭირო სურსათით, ამუნიციით, სანიტარული მასალებით, რომელნიც უკვე გზაში იმყოფებიან.

**კოოპერატიული ღვინის ვაჭრობა.** მწარმოებელი კოოპერატივი „კახელ მევენახეთა კავშირთ კავშირი", რომელმაც სულ ორიოდე თვეა რაც დაიწყო მოქმედება, უკვე აფართოვებს საქმეს. „კავშირთ-კავშირს" გარდა პირველ განყოფილებისა ოლღას ქუჩაზედ № 40, უკვე მოეწყვა კიდევ ორი განყოფილება მიხეილის ქუჩაზედ № 49 და მოსხმარებელ საზოგადოება „დახმარება"-ში ერევნის მოედანზედ, ქარვასლაში. ამ დღეებში კიდევ იგივე კავშირი სხვა ადგილებშიაც აპირებს განყოფილებათა მოწყობას.

**მილოცვის დეპეშები.** საქართველოს ეროვნულ საბჭოს კვლავ მოსდის მრავალი მილოცვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო. გუშინ მას მოუვიდა მილოცვები: სოხუმიდან, ქიათურის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებისგან, ესტონთა და ასურელთა ეროვნულ საბჭოებისგან და სხ.

**თავ. მინგრელსკის მამული.** ზუგდიდის მაზრაში სადგილ-მამულო კომისიამ მიიღო თავ. მინგრელსკის მამული, დახლოვებით 13 ათასი დესეტინა.

**ხელშეკრულობის ტექსტი.** ბეჭედითი სიტყვის ბიუროს მთავრობამ დაავალა გამოაცხადოს, რომ საზავო ხელშეკრულება, რომელიც სხვადასხვა გაზეთებში დაიბეჭდა ნამდვილს არ შეეფერება (სწორე არ არის). ხელშეკრულობა სწორე რედაქციით მოკლე ხანში იქნება გამოქვეყნებული.

**ოსმალთ ოფიცრების ჩამოსვლის მიზანი.** 8 ივნისს თბილისიდან ერევნის და განჯის მიმართულებით გაემგზავრა ოსმალთ ოფიცრების ერთი ჯგუფი, რომელთა მიზანია ამ ხაზებზე რკინის გზის მოძრაობა აღადგინონ და მაჰმადიან მცხოვრებლებს განუმარტონ, რომ სომხებთან ზავია შეკრული და ამიტომ მათთან კეთილმეზობლური ურთიერთობა უნდა იქონიონ. ამ ოფიცრებს ვეხიბ-ფაშის ფირმანი აქვთ.

**ახალი გაზეთი.** მომავალ ორშაბათიდან გაზეთ „ჯარის კაცის" მაგიერად გამოვა ყოველ კვირეული ჟურნალი „ჯარი და ერი". ჟურნალს აღუთქვეს თანამშრომლობა ჩვენში ცნობილმა მოღვაწეებმა. ამ ჟურნალში სხვათა შორის მოთავსებული იქნება სამხედრო ჟურნალის ყოველ-გვარი ჯარის შესახები ოფიციალური ცნობები.

**საკონსტიტუციო კომისიაში** ამოირჩიეს: ჯაფარიძე სერგეი (ს.-დემ.), [illegible] რ. (სოც.-ფედ.), ჟორდანია ნ. (ს.-დ.), საყვარელიძე პ. („ლიონი" მლივანი)., ჩერქეზიშვილი ი. (ს.-რ.), რცხილაძე გრ. (სოც.-ფედ.), დადიანი ს. (სოც.-ფედ.), გვაზავა გ. (ეროვნ.-დემ.), მაყაშვილი კ. (უპარტიო); 11 ივნისს 11 საათზე დანიშნულია საკონსტიტუციო კომისიის კრება თეთრ დარბაზში.

**ქურდობა.** 1 თიბათვეს ა. მოსესოვის საწყობიდან (ალაზნის ქუჩა) 60 ფუთი ყველი მოიპარეს. მილიციონერებმა გამოარკვიეს, რომ ქურდები იას. და არტ. ვახტანგოვებია, როცა გზაში მიჰყვებათ ქურდები მათ დაქცევა დააპირეს მაგრამ იქვე იქნენ მოკლულნი.

**სურსათის მომწვდელ კომიტეტმა** მიმოსვლის მინისტრს შემდეგი ტელეფონოგრამმით მიმართა: „რადგანაც თბილისის და ნავთლუღის სადგურები მეტის-მეტად გაივსო და საჭიროა ეხლავე დაიცალოს ეს სადგურები სურსათის მიმწოდებელ კომიტეტის შუამდგომლობით მთავრობამ განკარგულება გასცა ყველა იმ ბარგის ლიკვიდაცია მოახდინონ, რომელთაც პატრონები ვადაზე არ წაიღებენ".

**დაპატიმრება.** ქალაქის მილიციის უფროსმა დააპატიმრა ცრუმოწმობისთვის თბილისის რევოლუციის ტრიბუნალის მოწერილობის თანახმად სოფიო ალექსანდრეს ასული მჭედლიშვილი.

## საქართველოს და ოსმალეთის რკინის გზების შესახებ

1) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა, რესპუბლიკის რკინის გზებზე ოსმალეთის ლაშქრის ჯარის კაცებს, სხვადასხ. სამხ. ტვირთის, იარაღის, სურსათის და სხ. გადაზიდვის ნება დართოს. თავის თავად იგულისხმება, რომ ეს ტრანსპორტები საქართველოს მთავრობის საწინააღმდეგო არ იქნება.

2) ოსმალეთის ლაშქრის უფროსთა მიერ დანიშნულმა კომისიამ საქართველოს მთავრობის კომისიასთან შეთანხმებით და რკინის გზებით გადაზიდვის მაქსიმუმ შესაძლებლობის თანახმად უნდა მოანზადოს და შეიმუშაოს სამხედრო ტრანსპორტის საფუძვლები და დეტალები. ეს ტრანსპორტები უნდა შესრულდეს რესპუბლიკის რკინის გზების საშუალებით ადმინისტრაციის მიერ, ოსმალეთის კომისიის უფროსის დირექტივებით და თანახმად ოსმალეთის ლაშქრის სარდლობის განკარგულებებისა.

3) იმ სადგურებზე, რომლებსაც ორივე მხრის კომისიები მთავარ სადგურებად აღიარებენ, ჯარის დასასვენებლად, მისთვის სურსათის მისაწვდენლად, თვალყურის სადევნელად, ტრანსპორტების მოძრაობას სათანადოთ შესრულებისათვის მიცემულ ინსტრუქციების თანახმად, დანიშნული იქნება თითო ოფიცერი სუბალტერნების საკმაო რიცხვით. ეს ოფიცერი არ ჩაერევა სადგურის უფროსის მოვალეობათა აღსრულებაში. ჯარის ტრანსპორტისათვის საჭირო სურსათის ყიდვა შეძლების და გვარად ამ ოფიცერს საქართველოს მთავრობამ უნდა გაუადვილოს.

4) მე 2 და 3 პუნქტებში აღნიშნული კომისიები დაფუძნებულნი დაიწყებენ მუშაობას თფილისში არა უგვიანეს 3 დღისა დღიდან ამ აქტის შეკვრისა. ამ დროისთვის რესპუბლიკის რკინის გზების ადმინისტრაციამ უნდა შეკრიბოს და დაამზადოს ცნობები გზების მდგომარეობის, მოძრავ და არა მოძრავ შემადგენლობის შესახებ, რომ

დაუყონებლივ იქნეს გამოანგარიშებული გადაზიდვის შესაძლებლობის მაქსიმუმი.

5) საქართველოს მთავრობა ვალდებულებს შესაფერისად შეინახოს გზები —მოძრავი და არა მოძრავი შემადგენლობა, სწრაფად შეაკეთოს და შეასწოროს ლიანდაგი იქ, სადაც იგი შემთხვევით ან განზრახ იქნება დაზიანებული და წამხდარი.

6) შემთხვევით და განზრახ მოხდენილ ზარალის და ზიანის, აგრეთვე ამ ნიადაგზე ორივე მხარის შორის მოსალოდნელ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საქართველოს მთავრობა მოვალეა სამხედრო ნაწილებით დაიცვას ის რკინის გზები, რომელთა დაცვასაც საჭიროთ ჰსცნობს. თუ ხსენებული მთავრობა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შესძლებს რკინის გზის რომელიმე ნაწილის დაცვას, ამ ნაწილის დასაცავად დანიშნული იქნება ოსმალეთის სამხედრო ნაწილები და ისიც—საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.

7) საქართველოს მთავრობა მოვალეა გაჰფანტოს ყოველივე ძალები, რომელნიც პარაგ. 1-ში აღნიშნულ ტრანსპორტების გადაზიდვას [illegible] უკანასკნელს რაიმე სახით ხელს შეუშლიან. თუ საქართველოს მთავრობამ ეს ვერ შესძლო, მაშინ მათ გაფანტვაში ოსმალეთის ჯარი ჩაერევა. ხსენებულ ძალთა გაფანტვის და წესიერების აღდგენის შემდეგ რკინის გზის დაცვა მე-6 პარაგრაფის თანახმად გაგრძელდება.

8) ოსმალეთის ჯარი ეცდება არ შეაფერხოს სამხედრო ტრანსპორტები რკინის გზებზე, როგორც სამხედრო ისე კერძო ხასიათის.

## სათემო ცენტრი ზავის შესახებ

სათემო ცენტრის, თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის და წითელ გვარდიის შტაბის გაერთიანებულ კრებამ მოისმინა რა ირაკლი წერეთლის მოხსენება იმ საერთო მდგომარეობის შესახებ, რომელიც შეიქმნა ოსმალეთთან ზავის შეკვრით, დაადგინა: მომენტის მთავარი მოთხოვნილება არის ისეთი ძლიერი მთავრობის შექმნა, რომელიც გააერთიანებს მთელს დემოკრატიას და წინააღუდგება ყოველივე ცდას რევოლიუციით მონაპოვართა წინააღმდეგ მიმართულს, ერთ მხრივ რევოლიუციურ ორგანიზაციებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ რეალური ძალა და ასრულებდნენ ზოგიერთ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს და მეორე მხრივ მთავრობამ, რომელიც იყო აღჭურვილი სახელმწიფოებრივ ფუნქციებით, მაგრამ არ ჰქონდა რეალი ძალა, ვერ შესძლეს დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ აპარატის შექმნა. მხოლოდ ამ ორ ელემენტის გაერთიანება არის ერთად ერთი გზა მტკიცე მთავრობის შესაქმნელად. ამ გაერთიანების ფორმათა გამომუშავება აღმასრულებელ კომიტეტის ბიუროს მთავრობასთან შეთანხმებით.

## ნიღაბ-ჩამოფარებული ბოლშევიკური ფინანსისტები

პირველ-ყოვლისა გვინდა გავიგოთ: არსებობს თუ არა „საქართველოს ნამდვილი სრულ უფლებიანი დამოუკიდებელი მთავრობა, რომელმაც უნდა განაგოს ბედი ქართველის ერისა. თუ ეს ასეა, მაშინ მას ეკუთვნის უფლება მოიწყოს ნორჩი და თავისუფალი ქვეყანა ნამდვილს სახელმწიფოებრივს ნიადაგზე და ბიუჯეტიც და ფინანსებიც მათ უნდა მოაწყონ და არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება ძველი ახსნილის ბოლშევიკურის მტაცებლობის მეტოდით დაადოს ქვეყანას ხარკით კონტრიბუცია: თუმცა ბოლშევიკი ფინანსისტები ბრძანებენ, რომ ეს გაასწორებს აწეწილ ფინანსებსაო, მაგრამ არა გვგონია ამნაირი ანარქისტული საშუალებანი სიცილით [illegible] ნამდვილ სახელმწიფო ეკონომისტებს და ფინანსისტებს, ვინაიდგან სხვაგანაც აღმოჩნდებოდნენ ასეთი სწორუპოვარნი „ფინანსისტები" და მთელს განათლებულს სახელმწიფოებში შემოიღებდნენ ამნაირ გამანადგურებელ კონტრიბუციებს. ამ შემთხვევაში შინაური და გარეგანი სესხი საჭირო აღარ იქნებოდა. ჩვენის აზრით იქაც უნდა მოიპოვებოდნენ ისეთი სწორ-უპოვარნი ფინანსისტები, როგორნიც ბრძანდებიან ჩვენი ჯარის კაცთა და მუშათა დეპუტატები! ნუთუ იმდენი აღარ ესმისთ მათ თუ რამდენად სასურველი და სასარგებლო იქნება სახელმწიფოსთვის ეს 30 და 40 მილიონი ხალხისგან განაცარცვი ფული, როდესაც ამ წესით ფულების კრება ათი ამდენით დააზიანებს სახელმწიფო დოვლათს და თითქმის არ ყოფილს და სხვა და სხვა კომიტეტების წყალობით და მათის სახელმწიფოებრივის ნიჰილიზმით და ცოდნით განადგურებულ ვაჭრობა-მრეწველობას სრულიად სამარეს გაუთხრის. სახელმწიფო მხოლოდ და მხოლოდ მაშინ იარსებებს და აყვავდება, თუ მას მოეპოვება შინაური სიმდიდრე და დოვლათი ვაჭრობა-მრეწველობის სახით და თუ თქვენ მას სპობთ, მაშინ თქვენ სპობთ მასთან ერთად თვით სახელმწიფოსაც! ჩვენ გვესმის შინაური სესხის მოხდენა და ისიც თუ ქვეყანა და სახელმწიფო მდიდარია და ვაჭრობა-მრეწველობა ჰყვავის და ძლიერია! და არა იმნაირის იარაღით გამოძალვით და ნაგლეჯით, როგორც ჩვენებურს ბოლშევიკ ფინანსისტებს სურსთ!

მაშ გვითხრან და დაგვიმტკიცონ ამ სწორუპოვარმა ჯარისკაცთა და მუშათა ფინანსისტებმა—რა ბედნიერება და დოვლათი შესძინეს დიდ რუსეთს ამ კონტრიბუციის სახით ცარცვა-გლეჯით? გამოასწორეს რუსეთის ფინანსები და მრეწველობა? შემოიტანეს ქვეყანაში მშვიდობა? რა ბედნიერება მოუტანა რუსეთსა და ჩვენც ანარხიამ? რა ბედნიერება მოუტანა ხალხს წაქეზებამ: მემამულეების, ბურჟუებისა და თავად-აზნაურების ხოცვა ჟლეტამ და ცარცვამ? რა მოგვიტანეს, ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატებმა? ის რომ მუშამ 8 საათის მაგიერად 3 საათი იმუშავა და ამით მილიონობით სალირალი ქარხნები დაუქმებული და რკინის გზების ორთქლმავლები, თუ ტრამვაის ვაგონები დამსხვრეული და გაოხრებული ხდის ათასობით. მილიონობით სალირალი ქალ. თბილისის ელექტრონის სადგური მიანგრ-მოანგრიეს ვერაგულათ, რატომ ამ ქვეყნისა და სახელმწიფოს დამღუპველს მოვლენებს არ უმკლავდებიან ჩვენი დიპლომატი დეპუტატები? შესაძლებელია იმათ შეკავშირებულად უნდოდესთ ეს 40 მილიონი მანეთი ჩვენს დეპუტატებს, მაგრამ განა ამნაირად გამოკეთდება ჩვენი სახელმწიფოს ფინანსები? ბატონებო, ან რად ანგრევთ და ანიავებთ ყოველივეს და ან რად აკისრებთ სხვებს მათს აშენებას? რა მოგვიტანეს განაშვიკებულმა გალაჩრებულმა, როდესაც გმირმა ჯარისკაცებმა? ის რომ გრძელი გაწეწილი ქოჩორა თმით გვერდზე მოქცეულის კეპით ქუდით დაიარებიან პოზიციიდან სტოვებდნენ და თოფებით სახლში გამორბოდნენ საღვდლების ასაკლებად? თავს იმართლებენ, მაგრამ ბრალს დასდებენ იმას, რაც თვით, შექმნეს — უწესრიგობა, ანარქია, უმთავრობა. ამაზე იტყვიან — „რეგვენმა გზა დაკარგა და ფიცრებს დააბრალაო".

დრო არის, ბატონებო, თქვენც განიმეოროთ თქვენი ამხანაგი ლენინის სიტყვები:

— „ჩვენ ქვეყანა დავარბიეთ: ბანკები, მრეწველები და კაპიტალისტები გავანადგურეთ მიწასთან და ხელთ ვიგდეთ ყოველივე, მაგრამ იმდენით უეცრათ გამოვდექით, რომ არც კი ვიცით და ანგარიში არ გაგვიწევია, რამდენი წავაგლეჯეთ ხალხსა და სახელმწიფოს, ჯერ-ჯერობით ჩვენ ინჟინრებსა და ვაჭრებს ჭკუას ვერ ვასწავლით, ვინაიდგან ჯერ ჩვენ მზად არა ვყოფილვართ და ანგარიშიც კი არა გვცოდნია, ამიტომ ეს დარგი ჯერ-ჯერობით მილიუკოვებსა და კომპანიას მივანდოთ, ვინაიდან ჩვენ სუსტნი გამოვდექით". აი, ბატონო ფინანსისტებო, სადამდის მიიყვანა იმ [illegible] ძალდატანებითმა ძარცვა-გლეჯამ თვით დიდებული ბრძოლის მეთაური და ლენინი, და თუ კი იმათ იგრძნეს, რომ მათი ქცევა იყო არასახელმწიფოებრივი და იყო თავხედური და უხეირო, იგმირეთ რუსეთის მაგალითი და თქვენც ხელდარ გამოიორებით ამ საშინელებას. იმედია ჩვენი ბოლშევიკური საბჭოები დროზე მიატოვებენ ამ ანარქისტულ გზას და მით სუსტს სახელმწიფოს განსაცდელს ააშორებენ. თქვენ თუ ხალხის ინტერესს იცავთ, ამ უხეირო კონტრიბუციებს თავს დაანებებთ და სახელმწიფო მართვა-გამგეობას ნამდვილს ფინანსისტებს ჩააბარებთ და თქვენ კი თქვენი უნაყოფო ბატონობაზე ხელს აიღებთ ხალხის საკეთილდღეოდ, საბედნიეროდ! ამით თქვენ გამოიჩენთ ერთნაირს გმირობასაც და ხალხიც ასცდება უბედურობას!

ერთი ვაჭართაგანი.



ვასილ სარიშვილი
(ბჯიქაბულთან ბრძოლაში დაღუპული)

## ძვირფას მეგობრის დაკარგვას

ორმოცი დღე შესრულდა, რაც ძვირფასი მეგობრები, ვ. სარიშვილი და გრ. ჩიქოვანი ბჯიქაბულის ბრძოლაში დაიღუპნენ. ორმოცი დღეა, მაგრამ გრძნობა გონება მოსიყვარულე ადამიანისადმი ისეთი ყოფილა, რომ ასე მგონია, ერთი დღეც არ გასულა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად ვიხილე, როცა მატარებლით საბრძოლველად გავისტუმრეთ.

დღეს ვასიკოს თავის სამშობლო სოფელში ორმოცი დღის წირვას გადაუხდიან. მისი მშობლები დღეს კიდევ ნახავენ და გულში ჩაიკრობიან სუფლავს იმ ვაჟკაცი—შვილი გმირისას, რომელმაც სამშობლოს საყვარელი მიწაც კი ვერ დალბო თავისი სისხლით და მოკვდა იქ, სამშობლოს საზღვრებს გარეშე, სადაც სხვა ამხანაგებთან ერთად უხვდებოდა მტერს, რომელიც საზღვრების გადმოლახვას ისწრაფოდა.

აქ არის სწორედ ამ გმირ-ვაჟკაცთა სიდიადე, მათ მისცეს ტოლებს სწორი მაგალითი, თუ როგორ უნდა ბრძოლა და თავდადება მამულისათვის.

სამარადისო ხსენება გმირთა სახელს!

მიხ. კიაზოშვილი

## ბრძოლა დარიალში

ას თვრამეტი წლის მონობის შემდეგ, საქართველოსთან ერთად დარიალმაც იხილა თავისუფლება და ნიშნად სალამისა ხმა მისცა საქართველოს ჩრდილო მხრიდან, მან დარაჯობა იკისრა თავზე, და როდესაც საქართველოს საზღვრებს ჩრდილოეთიდან დაუპატიჟებელი სტუმრები მოადგნენ კარზე, დარიალმა შესაფერისი პასუხი გასცა მამის ნაცვლებს...

რუსეთის ბოლშევიკებს არაფრად ესიამოვნათ საქართველოს თავისუფლება და დაიძრნენ თბილისისაკენ გაზოსავრებლად, რათა დაეპყრათ ევროპისათვის საქართველოს შვილები. რომ უფრო კარგად გაეკაფათ გზა თბილისისაკენ, საჭირო იყო მათთვის ჯერ ქისტებთან დაეჭირათ კავშირი და მერე აქეთკენ წამოსულიყვნენ.

ერთმა მეჭე ერმა ქისტებმა დაქანცულებმა ოსებთან და ყაზახ-რუსებთან ბრძოლაში ვეღარ შესძლეს ბოლშევიკებთან ბრძოლა და დამთმობის გზას დაადგნენ, მით უმეტეს, რომ ბოლშევიკებმა ისინი დაარწმუნეს, რომ მათ ქისტებთან არაფერი სამტროო არა აქვთ, მხოლოდ უნდათ გზის დაცვაში მიიღონ მონაწილეობა. ქისტებმაც დაუჯერეს, გაატარეს, მაგრამ ჩქარა დარწმუნდნენ, რომ სულ სხვა განზრახვები ჰქონდათ. როდესაც ბოლშევიკები კარგათ გამაგრდნენ ბალტასა და ლარსში, ზარბაზნებითა და ტყვიის მფრქვეველებით, მაშინვე ბატონის ხმით დაუწყეს ლაპარაკი ქისტებს და მთელი უფლება ხელთ იგდეს. ბოლშევიკებმა ძალდატანებით თავიანთ ჯარისათვის ქისტებს ახალგაზრდობაც კი მოსთხოვეს. ისე ხომ მათ თავგასულობას საზღვარი აღარა ჰქონდა. ერთმა ქისტმა მიამბო, რომ ბოლშევიკებმა მთლად აგვიკლეს და აგვაოხრესო. აღარ შეგვარჩინეს აღარც ძროხა, აღარც ცხვარი, რძე, ერბო და სხვ. არაფერში ფულს არ იხდიან, თუ მოვთხოვეთ—სიკვდილს გვიმუქრებიანო. ქისტები ბრაზისაგან ყელებს იჭრიან და აღარ იციან როდის მოიშორონ ეს დაუპატიჟებელი სტუმრები.

როდესაც ბოლშევიკები ქისტების ტერიტორიაზე მომაგრდნენ შემდეგ საქართველოსაკენაც ჰქნეს პირი. 27 მაისს ბოლშევიკებმა ჩვენი საზღვრები გადმოლახეს და დარიალის ხიდზედ ტყვიისმფრქვევლები დასდგეს. ხევში ხმა გავარდა, ბოლშევიკები დარიალის ხიდს მოადგნენო და ერთი თვალის დახამხამებაში სოფ. სტეფანწმინდისა და სნოს მცხოვრებლები იარაღში ჩასხმულნი დარიალში გაჩნდნენ. 28 მაისს ბოლშევიკებმა წინ წამოწევა მოინდომეს, მაგრამ ჩვენებმა სასტიკი სროლა აუტეხეს და მათ უკან დაიხიეს ცოტა ზარალით. ასევე მოხდა 29, 30 მაისსაც.

31 მაისს ჩვენმა მზვერავებმა მაცნობეს, რომ დარიალის ხიდზედ ბოლშევიკებმა ტყვიის მფრქვევლები გამოაცოცეს ზედა აქეთ მხარეზედ უნდათ დადგმაო. ჩვენ საფრებს ნიშანი მივეცი და საშინელი ცეცხლის შემდეგ ბოლშევიკებმა იკადრეს უკან დაბრუნება.

საღამოს შვიდი საათი იქნებოდა, მათმა ჯარების უფროსმა წინადადება მომცა 45 წუთში დარიალი დამეცალა. მეც, რასაკვირველია, ღირსეული პასუხი მოუმზადე. საჩქაროდ შემუშავებული იქმნა იერიშის გეგმა, რომლის შემუშავებაში დიდი დახმარება გაგვიწია ზოგიერთმა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომლებმაც კარგად იციან ყოველივე ბილიკები მთაში. გადაწყვეტილი იყო ბოლშევიკების ორივე მხრიდან კლდეებზე მოვლა და იმავე დროს წინიდან შეტევა. ათი კაცი სიმონ შადურის ხელმძღვანელობით მარჯვნით წავიდნენ ხიდს კლდიდან მოსაგდებლად. 26 კაცი ალექსი კირიკაშვილისა, ნიკო ჩოფიკაშვილისა და გიორგი ეფხაშვილს ხელმძღვანელობით მარცხნივ ხურნუკის მთას შემოუარეს.

პირველ ივნისს დილის რვა საათი იქნებოდა, რომ ბოლშევიკების რაზმი შუაში მომწყვდეული იყო.

ჩვენ აქ გულკეთილობა გამოვიჩინეთ, ვიცოდით, რომ ზარალს მივაყენებდით მათ და ამისათვის მაინც ვარჩიეთ გაგვეფრთხილებინა ისინი. გავგზავნე სოფელ სიონის კომისარი ალექსი შადური თეთრის დროშით, რომელმაც გადასცა მათ, რომ თქვენ მოვლილი ხართ და ამისათვის სჯობს უსისხლოთ დასცალოთ ჩვენი ტერიტორია. ბოლშევიკებმა სიცილით გვიპასუხეს, და ვერც კი მოასწრო ალექსი შადურმა მისვლა ჩვენამდის, რომ სროლა აუტეხეს. მაშინ ეგრიალდა თოფებმა ჩვენი საფრებიდან, რომლის ხმაზედ წინიდან ჯარისკაცებიც იერიშზე გადავიდნენ. თავზარ დაცემულმა ბოლშევიკებმა იარაღი დაჰყარეს, ზოგმა უკან მოჰკურცხლა და ზოგი კლდეებს შეეფარნენ. იქვე ხელთ ვიგდეთ მათი ტყვიის მფრქვეველი ყოვლად გამართული.

გაიგეს თუ არა ბოლშევიკებმა თავიანთი ამხანაგების მარცხი, მაშინვე მაშველი ჯარი გამოგზავნეს ლარსიდან. ზარბაზნებიც დასდგეს. დილის 11—12 საათზე ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. საშინელ სურათს წარმოადგენდა დარიალი ამ დროს. ბევრი ბრძოლა მინახავს, მაგრამ სილამაზითა ამ ბრძოლას არც ერთი ბრძოლა არ შეედრება. ვიწრო ხეობა, სადაც თერგი საშინელ ღრიალით გარბის, აქეთ-იქით უზარმაზარი სალი კლდეები. თოფებისა, ტყვიისმფრქვევლებისა და ზარბაზნების საშინელი ტკაცა-ტკუცი, მთებმა ხმა მისცეს და გეგონებოდათ დედამიწა ეს არის ინგრევაო. ტყვია ერთი კლდეს მოხვედრილი მეორეზე ხტებოდა, ერთი ქვიდან მეორეზე და გეგონებოდა თუ სეტყვა მოდისო. ჩვენ ზარბაზნები არა გვქონდა, სამაგიეროდ ტყვიის მფრქვევლები სამაგალითოდ მოქმედებდნენ. ადვილი შესაძლებელია, მათ ზარბაზნებს ჩვენთვის დიდი ზარალი მოეყენებინათ, რომ მათ შრაპნელით ესროლათ, მაგრამ ეს მათ გონში არ მოსვლიათ. მათ ზარბაზნებს დიდხანს არ შეუწუხებივართ. ჩვენმა მარცხენა მხრიდან მოვლილებმა, [illegible] „ზალპი" დააყარეს მათ ზარბაზნებს და მალე გაუწყვიტეს მოსამსახურეები, იკადრეს ზარბაზნები უკან გაეტარებინათ. ბრძოლა ბოლშევიკების სრული დამარცხებით ოთხ საათზე დამთავრდა. მათის მხრივ მოკლულია 32, დაჭრილი 68 კაცი, ტყვედ წამოვიყვანეთ 27 კაცი.

ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველი, 27 თოფი და რამდენიმე ათასი პატრონა და სხვა რამ წვრილმანი *).

ორ ივნისს მათთან დროებითი შეთანხმება მოხდა. მათ ჩემი მოთხოვნილებები ყოველივე მიიღეს და, სხვათა შორის, აღმითქვეს დღეიდან არც ერთი შეიარაღებული ჯარისკაცი თქვენს საზღვარს 500 ნაბიჯზე აღარ მოუახლოვდებაო. სამუდამო ზავის ჩამოსაგდებად ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები გაიგზავნენ კაზბეგში—ბ. თევზაია და არდიშვილი.

დიდი მადლობის ღირსი არიან სოფ. სტეფან-წმინდისა და სნოს მცხოვრებლები, რომლებიც გულმოდგინეთ იცავდნენ თავიანთ საყვარელ დარიალის ხეობის სალს კლდეებს. მინდოდა სათითაოთ აღმენუსხა მათი სახელი და გვარები, როგორც გმირებისა, მაგრამ, რადგანაც მეშინია, რომ ვინმეს გვარი გამომრჩეს და ნაწყენი არ დარჩეს, ამისათვის საერთოთ ვუგზავნი მათ გმირობას.

ხოლო სირცხვილი სოფ. სიონის და სხვა სოფლების ზოგიერთ მცხოვრებს, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს სტეფანწმინდისა და სნოს მცხოვრებს და ერთ დღეს ხელის შეშლასაც კი ჰფიქრობდნენ.

ავ. აბესაძე.

## თეატრი და ხელოვნება

### ქართული კონცერტი

რა ნაირი ამაყი და მშვენიერი არ უნდა იყოს უდაბნოთი გარშემორტყმული ოაზისი, ამ უკანასკნელისთვის ყოველთვის საჩიფათოა მასთან მეზობლობა, თუნდაც მზემ ეფემერულად შეათქსოვოს თავის სხივებით ნამტკიცი ქვიშა: მასაც ადრე თუ გვიან უნდა გადაედოს ის კაეშნის შავი ქარვა, რომელიც უდაბნოს ერთფეროვან იდუმალების ყელზე მოუსხავს გიშრის მძივად. ამიტომაცაა, რომ წყურვილით შეწუხებულნი მოგზაურნი სცდილობენ გაარღვიონ ერთფეროვანი მოწყენილობის შავი სარტყელი და ოაზისის შუაგულს, შრიალა ბზათა ქვეშ მოჩუხჩუხე ნაკადულის შადრევნის პირად დაიჩოქონ, როგორც ექსტაზით შეპყრობილ მორწმუნემ მაცხოვრის საფლავის წინ.

რა სასიამოვნო განცდაა, როდესაც თვალს გადაავლებთ ჩვენს ახალ ხელოვნებას: ბედმა, მართალია, მწარე ხვედრი გვარგუნა, მაგრამ აბა შეხედეთ ამ რაინდებს, როგორ არღვევენ საუკუნის მონობის მიერ შექმნილ ერთფეროვნებას და როგორის მოწიწებით, მღვდელმსახურების წმიდა გრძნობით სცდილობენ მშობლიო ოაზისს დაუბრუნდნენ, ისიც შუაგულს, კურთხეულ ბზათა ქვეშ მშიშლ გულით ნაფეთქ წყაროს დასაწაფებლად. გუშინ ქართველ მხატვრების საღამო—მეჯლისი, მშობლიო გრძნობათა ქსოვილი ნახევა რომ გაგვიშალეს, გუშინვე მოვისმინეთ დ. არაყიშვილის კონცერტები, დღეს კიდევ ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით ქართ. სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდი ჰმართავს კონცერტს. ეს კონცერტი იმით კი არ იყო აღსანიშნავი, რომ ყოველი ნომერი საუცხოვოდ შეესრულებინოთ, პირიქით, ამ მხრივ კონცერტი მოიკოჭლებდა და მოიკოჭლებდა ძლიერაც. აქ ჩვენ გვაინტერესებდა თვით შინაარსი კონცერტისა. ეს, თუ გნებავთ, პირველი სრული გამოფენა გახლდათ ჩვენს მუსიკოსთა კომპოზიციებისა: აქ თქვენ მოისმენდით როგორც ფალიაშვილს და არაყიშვილს ისე ბალანჩივაძეს, ყარაშვილს, სულხანიშვილს! აქვე პირველად მოისმენილ

*) ზოგიერთ გაზეთებში გადაჭარბებულია ბოლშევიკების ზარალი. მაგ. გაზეთ „ვოზროჟდენიეში" ვიღაც ფირცხალაური სწერს 300 მკვდარი დასცოვეს ბოლშევიკებმა ბრძოლის ველზედაო, არ ვიცი რათ უნდოდათ ასეთი გადაჭარბებული ცნობა.

იქმნა ახალგაზრდა პიანისტ ერეკლე ჯაბადარის ნარნარა რომანსები! არა, მინაარსი, მართლაც ჩინებული იყო, თუმცა შთაბეჭდილება მსმენელისა ისეთი დარჩა, როგორსაც ახდენს მადონას სურათი, როდესაც მას უბეირო ჩარჩოში ჩასმენ.

გუნდის მოუმზადებლობას დაერთო თვით ხელმძღვანელ ნ. სულხანიშვილის ერთგვარი უგულობა. მაშ რას მიეწერის, თუ არა უგულობას, ვთქვათ, თუნდა ზ. ფალიაშვილის „ალიფაშა?" ეს მკვირცხლი, სიცოცხლით მჩქეფარე კომპოზიცია, არაჩვეულებრივის ნელი ტემპით შეასრულებინა გუნდს და მიტომ დაიკარგა კისკისა სიხალისე ტონთა ცეკვის დროს რომ განიცდის ადამიანი. ვისაც მოუსმენია „ალიფაშა" არა თუ თვით ფალიაშვილის ხელმძღვანელობით, არამედ ყმაწვილებისაგანაც კი, ან და ქართულ გიმნაზიის მოწაფეთაგან, ამ დღევანდელ „ალიფაშას" ზურგს შეაქცევდა.

ასეთივე უგულობისა და გუნდის მოუმზადებლობამ დაჰლუპა ხელმძღვანელისვე „გუთნური", „სამშობლო ხევსურისა", „მაშ გამარჯვება", რომელთაც სხვა დროს და სხვა პირობებში მისსავე ხელმძღვანელობით შესრულებული ალტაცებაში მოუყვანია ადამიანი.

გუნდს არც სოლისტებმა შეუწყვეს ხელი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვ. ლორთქიფანიძეს. ფალიაშვილის „ნანა" რომ არ შეესრულებინათ, უკეთესი იყო.

საკმაოდ სათანადოდ შესრულებული იყო ბალანჩივაძის „სამშობლო ხევსურისა", დ. არაყიშვილის „ნეფის ქება" ოპერიდან „შოთა რუსთაველი", ერეკლე ჯაბადარის რომანსები, განსაკუთრებით „სული ობოლი", ეს სკეპსისის ცეცხლში დამწვარ სულის ოხვრაგოდება, შოპენისებურ ელეგიის ირთოლვით გატკბობდათ...

უკანასკნელი განყოფილება სარაჯიშვილის საბენეფისო ნომრებით იყო სავსე, მაგრამ სარაჯიშვილი ვერა ვნახეთ, მის მაგიერობას ერთი მხრით ვ. ლორთქიფანიძე და მეორეთი ქუმბურიძე ეწეოდა.

მომღერალთა შორის ისევ ვ. ლორთქიფანიძე ერჩევა, საოპერო როლების ბარიტონი ჯერჯერობით ეგ გვყავს.

ქ-ნი კალანდაძე ბუნებრივად კარგი მღერაა, მაგრამ მის ხმას ჯერ კიდევ აკლია მოვლა და პარფიუმერია...

მიუხედავად გუნდის ულღფერობისა, სადამო-კონცერტი მაინც შესანიშნავია როგორც მრავალფეროვნებით, ისე იმ რწმენის განმტკიცებით, რომ ხელოვნება ჩვენში იმარჯვებს და ამ გამარჯვებას სულ მოკლე ხანში მუსიკის სფეროში დავინახავთ...

დ. კახრაძე.

## ჯავახეთის და მესხეთის საშველად*)

დადგა დრო, როცა უნდა გადასწყდეს საქართველოს რესპუბლიკის ორ მდიდარ პროვინციის—ჯავახეთის და მესხეთის (ახალქალაქის და ახალციხის მაზრების) საკითხი. წაქეზებული ოსმალო თხოულობს საქართველოს სხეულისაგან ნაწილად დაკვეთას.

ამ მიზნისთვის იგი დიდხანს ემზადებოდა. ამას გვიმტკიცებს ზაქოელების და ბეგების ანტიქართული აგიტაცია ახალციხის და ახალქალაქის მაზრებიდან ძველ ახალციხის ფაშალიკის შექმნისათვის. რასაკვირველია, ეს მათთვის ფრიად სასურველი და ხელსაყრელია. საწუხაროდ, შეუგნებელი მაჰმადიანობა ბეგებისა და ფანატიკი მოლლების ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფება. თავიანთ პოლიტიკურ და კერძო ინტერესების განხორციელებას უკანასკნელნი მუდამ სჯულთან აკავშირებენ.

ჩვენ ამ ორ მაზრას ვერ დავუთმობთ ვერავის, რა მოსაზრებითაც გინდათ იმსჯელეთ: პოლიტიკურად, სტრატეგიულად თუ ეკონომიურად, მაგრამ მარტო სიტყვები და გაზეთების ფურცლებზე ცხარე წერილების ბეჭვდა ვერაფერს გვარგებს, თუ ენერგიული ზომები არ მივიღეთ დღესვე. გადადება და დაგვიანება სიკვდილია საქართველოს ნორჩ რესპუბლიკისათვის.

*) ეს წერილი რედაქციამ დაგვიანებით მიიღო ჯავახეთიდან.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა დაუცილებელი ძლიერი სამხედრო ძალის შექმნა ამ ორ მაზრებში და ამ ძალით განთავისუფლება ახალციხის და ახალქალაქის ტერიტორიისა თათარ ბრბოების თარეშისაგან.

პირდაპირ გასაოცარია და საქართველოს ისტორიაში დაუვიწყარი ქ. ახალციხის მცხოვრებთა და ჯარის თავგამოდებული ბრძოლა გარშემორტყმულ მტერთან, შველა კი არსაიდან სჩანს მათთვის!.. აღსანიშნავია არანაკლებ მამაც და გამბედავ ჯავახელების მუდმივი ბრძოლა თათრებთან სოფ. სარო-ხიზაბავრა-ქილდა-გოგაშნის ფრონტებზე!..

გული სისხლით გევსებათ რა წამს იგონებთ ახალციხელ და ჯავახელ რაინდების თავგამოდებულ ბრძოლას, იმავე დროს, როდესაც აქ, ქართლში სოფლები და დაბა-ქალაქები დეზერტირებით და ბოლშევიკურად მოაზროვნე ჯარისკაცებით სავსეა, რომელნიც რაღაც ცრუ იდეოლოგიით გაურბიან სამშობლოს დაცვას! ნუ თუ ამას ბოლო არ უნდა მოეღოს! ნუ თუ იქ, ახალციხესთან და ჯავახეთში გმირულად უნდა იხოცებოდნენ და აქ კი მშიშარა მოღალატეები თავის ქოხებში არხეინად ატარებდნენ დროსა?!

არა და არა!..

საქართველოს რესპუბლიკის მართველობა მოვალეა როგორმე მოაგვაროს ეს საქმე და ქუდზე კაცის მობილიზაცია სასტიკად და აუცილებლივ გაატაროს ცხოვრებაში.

მაშ, როგორ დავეხმაროთ ჩვენ მებრძოლ რაინდებს, როგორ მივეშველოთ მათ?

საჭიროა ყველა ძალების დროებით ამ მაზრებში თავის მოყრა. ბაკურიანის უღელ-ტეხილზე გზა დიდი ხანია რაც ზამთრის თოვლისაგან განთავისუფლდა და იგი წარმოადგენს მშვენიერ სტრატეგიულ სავალს, რითაც შესაძლებელია მივაშველოთ ჯავახეთში მაშველი რაზმები, ან წითელი გვარდია.

უნდა სამივე მხრიდან მოეწყოს ერთ და იმავე დროს შეტევა. ერთის მხრით—ბორჯომიდან, საკირე-დვირის ასპარეზით—აწყურზე, მეორეთ—ახალქალაქიდან, საროხიზაბავრის ასპარეზით—ასპინძა-ოროშაზე, და მესამეთ—ქუთაის-ბაღდადის მხრიდან—ზექარ-აბასთუმანზე. საჭიროა ერთ და იმავე დროს სამივე მხრიდან დაიწყოს მედგარი შეტევა თოფ-ზარბაზნებით და ჰაეროპლან-ტყვიისმფრქვევლებით. ამ საშუალებით ადვილია გზის გაკაფვა ახალციხისაკენ. რამდენიმე დღის შემდეგ შესაძლებელია ეს სამი რაზმი შეერთდეს ახალციხეში და მთელი ორი მაზრა დაიხსნას გაჭირვებისაგან და სამუდამოდ უზრუნველ ჰყოს მათ შერჩენა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაში.

მაშ დროზედ მოვაგვაროთ ყველა ეს, რადგანაც დაგვიანება სიკვდილია საქართველოსთვის. მერე კი, როცა ეს ორი მაზრა წაგვივა ხელიდან, რაც ღმერთმა არა ქნას, მაშინ, რასაკვირველია, თავში ცემა და სინანული გვიან-ღა იქნება, საქართველოს რესპუბლიკას კი გამოეცლება თავისუფალი ცხოვრების საფუძველი და საშუალება, ურომლისოდაც საქართველო იგივე მონა იქნება, როგორც აქამდის იყო რუსეთის მონა.

შეთახარი

## წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ დაგვიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთის ფურცელზე შემდეგი:

დრაგუნი ნიკოლოზ გრიგოლის ძე ლათიბაშვილი, მცხოვრები სოფელ ტიბაანს, ზიზღით დათხოვნილ იქმნა პოლკიდან. მან თავისი მავნე და უმზგავს საქციელით შეირცხვინა თავი, როგორც ჯარისკაცმა, მოქალაქემ და შვილმა წინაშე სამშობლოსი ჩვენის საქართველოსი.

კომანდირი ქართულ სათადარიგო ცხენოსანთა პოლკისა

პოლკოვნიკი გ. ნაცვალოვი

—

ღრმად დამწუხრებული ომში მოკლულ პოლკოვნიკის კობეშავიძის ოჯახობა გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთ „საქართველოს" საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ბორჯომის წითელ გვარდიას და მუშათა პარტიას მწუხარების თანაგრძნობის გამოცხადებისათვის ამ უბედურებაში. გარდა ამისა—მათ გადმოგვცეს ათასი (1000) მანეთი მისი ობოლ შვილის შურიკოს ფონდისთვის და მასთან დაგვპირდნენ, რომ ისინი არ დაივიწყებენ მის პატარა შვილს და საჭირო დროს მზად არიან ხელი გაუწოდონ დაობლებულ მის შვილს.

გთხოვთ სხვა გაზეთებშიაც გადაბეჭდოთ.


## იყიდება

ტანისამოსის შკაფი, გიტარა, ლამფა, მატერია, ძველი ჩექმები, მანიკენი, სარკე, ფარაჯა, და სხვა ბევრი რამე. მისამართი დიდუბე, შერემეტიევის ქ. № 46. ბინა ნასკავასი. 2—1657—2

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
### კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

## ქართული კლუბი
სამშაბათს, 11 ივნისს 1918 წ.
### ორკესტრის საბენეფისოდ
წარმოდგენილი იქნება ახალი ოპერა რ. გოგნიაშვილისა
### ქრისტინე
ოპერა 3 მოქ. და 4 სურათად.
დირიჟ. ნ. ქართველი
წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ცეკვა-თამაში ბალეტმეისტერი ს. ვაკარეცის ლოტბარობით. ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი საღამოს 8 ნახევარ საათზე. 1—961—1

### საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო
ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

### საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო
ამით აცხადებს თავის წევრთა და თანამოაზრეთა საყურადღებოთ, რომ ხუთშაბათს 13 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე მე-III მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში (ტურგენევის ქუჩა, № 4) დანიშნულია საერთო კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენება ომისა და ზავის შესახებ. 3—1

### საქართველოს ეროვ.-დემოკ. პარტიის ქ. თბილისს მეორე რაიონის
კანცელარია მოთავსებულია „საქართველოს" რედაქციაში. ახალ წევრთა ჩაწერა, საწევრო გადასახადის და დღიურ შემოსავლის მიღება, შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდის. 7—7

სამეურნეო ნაწარმოებთა გამსაღებელი და მეურნეობისათვის საჭირო მასალის შემძენი
## კოოპერატივთა კავშირი
აუწყებს ყველა კოოპერატიულ, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებებს, აგრეთვე სოფლის მეურნეთ და კერძო პირებს, რომ კავშირი მიიღებს საკომისიო წესით გასასაღებლათ სამეურნეო ნაწარმოებს (ხორბალი, ფქვილი, ხილი, შეში, თამბაქო, ღვინო, მატყლი და სხვა) მცხოვრებთათვის საჭირო და სამრეწველო ფაბრიკატებს, როგორც ბითუმათ (პარტიობით) ასევე წვრილ-წვრილად. კავშირის კანტორა იმყოფება მოსკოვის ქუჩა № 4. ტელ. 6—22
3—1650—2


### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის
## ორგანიზაციის გამგეობისაგან
ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკედან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.
II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.
III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.
IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე.

თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე, (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დან 2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.


## სამკურნალო
სამხედრო სპეციალისტ-ექიმების—გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
დიდ განქის ქუჩა № 8. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელ. № 481.
ექიმი ასპიზოვი—ყელის, ყურის და ცხვირის. ყოველდღე 12—1 საათამდის.
ექ. ახვლედიანი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 11—12 ს.
ექ. ბილლანიძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 10—11 ს.
ექ. ჩუდნოვსკი—ნერვების, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკეობით 12—1 საათ.
ექ. ერმოლაევი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ბოჟოვსკი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 12—1 ს.
ექ. მაშჩიკოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე საღ. 3—4 ს.
ექ. სუროვცოვი—შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობის. ყოველდღე 4—5 ს.
ექ. მიინაც—თვალების ავადმყოფობის. ორშ., ოთხშ. და პარასკეობით 2—3 ს.
ექ. ივანოვი—თვალების ავადმყოფ. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 2—3 ს.
ექ. ყალამქაროვი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 1—2 ს.
ექ. ნოვიცკი—ქალთა და საბებიო. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ქალი იოსელიანი. ქალთა და საბებიო, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 11—12 ს.
ექ. ქალი ფირალოვა—ქალთა და საბავშვო სამშაბათობით, ხუთშაბათობით შაბათობით და კვირაობით. 11—12 ს.
ექ. შამაში—ქირურგიული (დოსტაქარი). ყოველდღე 11—12 საათზე.
ექ. ფირალოვი—ქირურგი. ყოველდღე $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათამდე.
ექ. ბარნაშა-ტროცკაია—სალოსტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 2—3 საათ.
ექ. ცანდერი—სალოსტაქრო ავადმყოფ. ყოველდღე 4—5 საათ.
ექ. კაკელია—კანის და ვენერიულ ავადმყოფობის. ყოველდღე 12—1 ს.
ექ. არხიპოვი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფობის 4—5 საათ.
კბილის ექ. ადიხანოვი—ყოველდღე 10—12 საათ.
კბილის ექ. ნურალოვი—ყოველდღე 3—5 ს.
ოპერაციები მორიგებით, კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ანალიზი, ჰიპნოზი, მოსამსახურეთა და ძიძების გასინჯვა, სათვალეების შერჩევა. ფასი დარიგებისათვის 1 მ. 50 კ. 100—99

ექიმი
### მ. ო. ზანდუკელი
ასსისენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (ფსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ექიმი
### დონხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასსისენტი იღებს თვალის ავადმყოფებს.
დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (საიკინის კბილის საექიმო).
ტელეფონი 7—38.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
### ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნორდ"-ის პირდაპირ ტელეფონი 14—28.

ექიმი
### მ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბო-მონდის" პირდაპირ.
თ—1018—45

მარტის 20 გაიხსნა ახალი
## სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და დ. მ. ნაზარეტიანის
სამკურნალოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ექიმი
### ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებათ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე.
მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.
თ—1536—36


სტამბა „ცხოვრება" კალანდაძისა გაზაევის შესახვევი № 4.